საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის

წესდება

(2023 წ. რედაქცია)

სარჩევი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდებაში გამოყენებული შემოკლებების და ტერმინების განმარტებები

I.ზოგადი დებულებები

მუხლი 1.დასახელება, სამართლებრივი ფორმა, შტაბ-ბინა

მუხლი 2.მიზნები

მუხლი 3.ნეიტრალიტეტი და არადისკრიმინაციულობა

მუხლი 4.მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა

მუხლი 5.ფეხბურთელები

მუხლი 6.თამაშის წესები

მუხლი 7.ორგანოების და ოფიციალური პირების ქმედებები

მუხლი 8.ოფიციალური ენები

II.წევრობა/ასოცირებული წევრობა

მუხლი 9.გაწევრიანება, წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება, გარიცხვა

მუხლი 10.წევრად/ასოცირებულ წევრად მიღება

მუხლი 11.განცხადების მიღების მოთხოვნები და პროცედურა

მუხლი 12.წევრთა/ასოცირებულ წევრთა უფლებები

მუხლი 13.წევრთა/ასოცირებული წევრთა ვალდებულებები

მუხლი 14.წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება

მუხლი 15.წევრის/ასოცირებული წევრის სტატუსის ჩამორთმევა (გარიცხვა)

მუხლი 16.წევრობიდან/ასოცირებული წევრობიდან გასვლა

მუხლი 17.რეგიონული ასოციაციების, კლუბების და ფეხბურთთან დაკავშირებული ასოციაციების და გაერთიანებების სტატუსი

III.საპატიო პრეზიდენტი, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი, საპატიო წევრი

მუხლი 18.საპატიო პრეზიდენტი, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი, საპატიო წევრი

IV.ორგანიზაცია

მუხლი 19.სფფ-ის ორგანოები

ა. ყრილობა

მუხლი 20.სფფ-ის ყრილობა

მუხლი 21.დელეგატები და ხმები

მუხლი 22.უფლებამოსილებათა ფარგლები

მუხლი 23.ყრილობის ქვორუმი

მუხლი 24.ყრილობის გადაწყვეტილებები

მუხლი 25.არჩევნები

მუხლი 26.რიგითი ყრილობა

მუხლი 27.რიგითი ყრილობის დღის წესრიგი

მუხლი 28.რიგგარეშე ყრილობა

მუხლი 29.წესდებაში ცვლილებები

მუხლი 30.ოქმი

მუხლი 31.გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი

ბ. აღმასრულებელი კომიტეტი

მუხლი 32.აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა, წევრების არჩევა

მუხლი 33.სხდომები

მუხლი 34.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილება

მუხლი 35.გადაწყვეტილებები

მუხლი 36.პიროვნების ან ორგანოს დათხოვნა

გ. პრეზიდენტი

მუხლი 37.პრეზიდენტი

მუხლი 38.პრეზიდენტობის კანდიდატები

მუხლი 39.წარმომადგენლობა და ხელმოწერა

დ. საგანგებო კომიტეტი

მუხლი 40.საგანგებო კომიტეტი

ე. მუდმივმოქმედი კომიტეტები

მუხლი 41.მუდმივმოქმედი კომიტეტები

მუხლი 42.საფინანსო კომიტეტი

მუხლი 43.საკლუბო ტურნირების და ეროვნული ნაკრებების საშეჯიბრო კომიტეტი

მუხლი 44.სამსაჯო კომიტეტი

მუხლი 45.იურიდიული და ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტი

მუხლი 46.ფუტსალის, პლაჟის, ქალთა და მოყვარულთა ფეხბურთის კომიტეტი

მუხლი 47.რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტი

მუხლი 48.მედიასთან ურთიერთობის კომიტეტი

მუხლი 49.შიდა სააუდიტო კომიტეტი

მუხლი 50.სპეციალური კომიტეტები

მუხლი 51.გენერალური სამდივნო

მუხლი 52.გენერალური მდივანი

ვ. იურიდიული ორგანოები

მუხლი 53.იურიდიული ორგანოები

მუხლი 54.სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი

მუხლი 55.სააპელაციო კომიტეტი

მუხლი 56.კლუბების ლიცენზირების კომიტეტი

მუხლი 57.კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო

მუხლი 58.დისციპლინარული სანქციები

მუხლი 59.საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალი

მუხლი 60.იურისდიქცია

მუხლი 61.სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო

მუხლი 62.დოპინგი

V.ფინანსები

მუხლი 63.ფინანსები

მუხლი 64.შემოსავლები

მუხლი 65.ხარჯები

მუხლი 66.დამოუკიდებელი აუდიტორები

მუხლი 67.საწევრო შენატანები

მუხლი 68.კომპენსაცია

მუხლი 69.გადასახადები

VI.ტურნირები და უფლებები ტურნირებში და სხვა აქტივობებში

მუხლი 70.ტურნირები

მუხლი 71.კლუბების ლიცენზირება

მუხლი 72.უფლებები

მუხლი 73.უფლებამოსილება

VII.საერთაშორისო მატჩები და ტურნირები

მუხლი 74.საერთაშორისო მატჩები და ტურნირები

მუხლი 75.კონტაქტები

მუხლი 76.დადასტურება

VIII. საბოლოო დებულებები

მუხლი 77.გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ფორს მაჟორი

მუხლი 78.ლიკვიდაცია

მუხლი 79.მიღება და ძალაში შესვლის თარიღი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდებაში გამოყენებული შემოკლებების და ტერმინების განმარტებები

წინამდებარე წესდების დებულებების ინტერპრეტაციისას გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

1.„სფფ“ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია;

2.„ფიფა“ - საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია;

3.„უეფა“ - ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი;

4.„რეგიონული ფედერაცია“ - სფფ-ის ქვემდებარე ორგანიზაცია;

5.„ყრილობა“ - დელეგატთა კრება, სფფ-ის უმაღლესი ორგანო;

6.„აღმასრულებელი კომიტეტი“ - სფფ-ის აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ირჩევს სფფ-ის ყრილობა;

7.„ასოციაცია“-ფიფას მიერ აღიარებული ფეხბურთის ასოციაცია;

8.„კონფედერაცია“ -ფიფას მიერ აღიარებული ასოციაციათა ჯგუფი, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე კონტინენტს;

9.„ასოციაციის ფეხბურთი“-თამაში, რომელიც ფიფას მიერ კონტროლდება და ორგანიზებულია თამაშის წესებთან შეთანხმებით;

10.„თამაშის წესები“ - ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს მიერ მიღებული წესები;

11.„ოფიციალური პირები“-ნებისმიერი პირი, ფეხბურთელების გარდა, რომელიც ახორციელებს ფეხბურთთან დაკავშირებულ საქმიანობას ფიფაში, კონფედერაციებში, სფფ-ში, სხვა ასოციაციებში, ლიგებში, კლუბებში, კერძოდ მსაჯები, მწვრთნელები, ოფიციალური დამსწრეები, სამედიცინო, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი.

12. „ფეხბურთელი“ - ფეხბურთის მოთამაშე, რომელიც დარეგისტრირებულია სფფ-ში;

13. „წევრი“ - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებიც მიღებული არიან სფფ-ის წევრად სფფ-ის ყრილობის მიერ;

14.”ასოცირებული წევრი” - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებიც მიღებული არიან სფფ-ის ასოცირებულ წევრად სფფ-ის ყრილობის მიერ;

15.IFAB - ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭო;

16.“ტრიბუნალი“ - მოქმედებს საერთო სასამართლოს ნაცვლად;

17.“საერთო/სასამართლო“ - სახელმწიფო სასამართლო, რომელიც განიხილავს საჯარო და კერძო სამართლებრივ დავებს;

18. CAS - სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო ლოზანაში (შვეიცარია).

19. სდგსტ - სფფ-ის მიერ აღიარებული შპს საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალი, მდებარე საქართველოში, ქ. თბილისში.

I.ზოგადი დებულებები

მუხლი 1.დასახელება, სამართლებრივი ფორმა, შტაბ-ბინა

1.1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სფფ არის – ფეხბურთის ხელმძღვანელი ერთადერთი ორგანო (ორგანიზაცია) საქართველოში, რომელიც დამოუკიდებლად და სრულად წარმართავს საფეხბურთო საქმიანობას და რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ქვეყნის (საერთაშორისო სამართლის ნორმით აღიარებულ ფარგლებში) მთელს ტერიტორიაზე. სფფ არის ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო (ორგანიზაცია), რომელიც წარმოადგენს ქართულ ფეხბურთს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

1.2.სფფ არის ფიფას და უეფას წევრი. სფფ ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ფიფას და უეფას მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში და გადაიხადოს საწევრო შენატანი. სფფ, მისი წევრები/ასოცირებული წევრები, ლიგები, კლუბები, ფეხბურთელები და ოფიციალური პირები ვალდებულებას იღებენ, რათა:

ა)შეასრულონ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IFAB) მიერ განსაზღვრული და ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული თამაშის წესები და ფუტსალის თამაშის წესები;

ბ)ფეარ-პლეის პრინციპების თანახმად დაიცვან ლოიალურობის, ერთიანობისა და სპორტული პრინციპები;

გ)პატივი სცენ ფიფასა და უეფას წესდებებს, დებულებებს და გადაწყვეტილებებს;

დ)ფიფასა და უეფას წესდებების პირობების თანახმად, აღიარონ შვეიცარიის ქ. ლოზანაში მდებარე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) იურისდიქცია;

ე)სფფ-ის წესდების და დებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა საბოლოო ინსტანციაში გადასცენ მხოლოდ შპს "საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალს", რომელიც მოაგვარებს დავას საერთო/სასამართლოს გარეშე;

1.3. სფფ-ის შტაბ-ბინა მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 76ა, საფოსტო ინდექსი 0162;

1.4.სფფ-ს გააჩნია საკუთარი დროშა;

1.5.სფფ-ს გააჩნია საკუთარი ლოგო, რომელიც გამოიყენება მარკეტინგული და სხვა მიზნებისათვის, რაც სამართლებრივად დაცულია დადგენილი კანონმდებლობით;

1.6.საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აბრევიატურაა: სფფ - ქართულ ენაზე, GFF - ინგლისურ ენაზე;

მუხლი 2.მიზნები

სფფ-ის მიზნებია:

2.1.ფეხბურთის თამაშის მუდმივად განვითარება სფფ-ის ტერიტორიაზე და მისი ხელშეწყობა, რეგულირება და კონტროლი, ფეარ-პლეის პრინციპებისა და ფეხბურთის გამაერთიანებელი, საგანმანათლებლო, კულტურული და ჰუმანური ფასეულობების ჭრილში, განსაკუთრებით, ახალგაზრდული და განვითარების პროგრამების საშუალებით;

2.2.ფეხბურთში ეროვნულ დონეზე ყველა რანგისა და ფორმის შეჯიბრებების ორგანიზება, ლიგებთან (არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებული უფლებამოსილების სფეროების ზუსტად განსაზღვრით;

2.3.საფეხბურთო ინსტრუქციებისა და დებულებების შედგენა და მათი მოქმედების უზრუნველყოფა;

2.4.მისი წევრების/ასოცირებული წევრების ინტერესების დაცვა;

2.5.ფიფას, უეფას და სფფ-ის წესდებების, ინსტრუქციების, მითითებების და გადაწყვეტილებების, ასევე თამაშის წესების დაცვა, მათი დარღვევის თავიდან აცილება, ამასთანავე მისი წევრების/ასოცირებული წევრების მიერ ზემოაღნიშნულ დებულებების და გადაწყვეტილებების დაცვის უზრუნველყოფა;

2.6.საქართველოს ტერიტორიაზე გამართული ყველა ოფიციალური და ამხანაგური საფეხბურთო მატჩების კონტროლი და ზედამხედველობა;

2.7.ფეხბურთთან დაკავშირებული საერთაშორისო სპორტული ურთიერთობების ხელმძღვანელობა;

2.8.საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა;

2.9.საქართველოს ნაკრები გუნდების ფორმირება და მომზადება;

2.10.საქართველოს ჩემპიონატის, თასის გათამაშების, ბავშვთა ლიგის და სფფ-ის ეგიდით ჩატარებულ ყველა ოფიციალურ და ამხანაგურ მატჩში კვალიფიცირებული მსაჯობის და ინსპექტირების უზრუნველყოფა.

2.11.ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, მიიღოს და გასცეს სხვადასხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის გრანტები, ერთჯერადი დახმარებები, შემოწირულობები და სხვა.

2.12.განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას.

მუხლი 3.ნეიტრალიტეტი და არადისკრიმინაციულობა

3.1.სფფ არის ნეიტრალური პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებში;

3.2.ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ქვეყნის, პიროვნების ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ ეთნიკური, გენდერული, ენობრივი, რელიგიური, პოლიტიკური წარმომავლობის ხარჯზე ან სხვა მიზეზით მკაცრად არის აკრძალული და ისჯება სფფ-ის წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერებით ან გარიცხვით.

მუხლი 4.მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა

4.1.სფფ უზრუნველყოფს თავის წევრებს/ასოცირებულ წევრებს, კლუბებს, ოფიციალურ პირებსა და მოთამაშეებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

4.2.ფეხბურთში ჩართული ნებისმიერი პირი და ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას სფფ-ის წესდება, დებულებები, გადაწყვეტილებები, სამართლიანი თამაშის წესები და პრინციპები;

4.3.სფფ უზრუნველყოფს შექმნას შესაბამისი ორგანოები, რათა გადაწყვიტოს ნებისმიერი შიდა დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სფფ-ის წევრებს/ასოცირებულ წევრებს, კლუბებს, ოფიციალურ პირებსა და მოთამაშეებს შორის.

მუხლი 5.ფეხბურთელები

5.1.ფეხბურთელების სტატუსი და მათი ტრანსფერის პირობები რეგულირდება სფფ-ის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია აღმასკომის მიერ და შესაბამისობაშია ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის მოქმედ დებულებებთან.

5.2.ფეხბურთელები რეგისტრირდებიან სფფ-ის ზემოთ მითითებული დებულებების წესების შესაბამისად.

მუხლი 6.თამაშის წესები

სფფ და მისი წევრები/ასოცირებული წევრები თამაშობენ ფეხბურთს IFAB-ის მიერ დადგენილი თამაშის წესების შესაბამისად. ამას გარდა, სფფ და მისი წევრები/ასოცირებული წევრები თამაშობენ პლაჟის ფეხბურთს და ფუტსალს, ფიფას აღმასკომის მიერ მიღებული, შესაბამისად, პლაჟის ფეხბურთის და ფუტსალის თამაშის წესების შესაბამისად.

მუხლი 7.ორგანოების და ოფიციალური პირების ქმედებები

სფფ-ის ორგანოებმა და ოფიციალურმა პირებმა უნდა დაიცვან სფფ-ის ფიფასა და უეფას წესდებები, დებულებები და გადაწყვეტილებები.

მუხლი 8.ოფიციალური ენები

8.1. სფფ-ის ოფიციალური ენა არის ქართული. ქართულ ენაზე იწერება ყველა ოფიციალური დოკუმენტი და ტექსტი. თუ ოფიციალური დოკუმენტი ორ ენაზეა შესრულებული უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ ვერსიას.

8.2.სფფ-ის ყრილობის ოფიციალური ენა არის ქართული;

8.3.სფფ ვალდებულია ფიფას და უეფას მიაწოდოს სფფ-ის წესდების გადათარგმნილი და დამტკიცებული მოქმედი ვარიანტი, ასევე მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

II.წევრობა/ასოცირებული წევრობა

მუხლი 9.გაწევრიანება, წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება, გარიცხვა

9.1.სფფ-ის ყრილობა უფლებამოსილია წევრი/ასოცირებული წევრი მიიღოს, წევრობა/ასოცირებული წევრობა შეუჩეროს ან გარიცხოს.

9.2.სფფ-ის წევრად ან/და ასოცირებულ წევრად მიღებისთვის საჭიროა, განმცხადებელი სრულად აკმაყოფილებდეს სფფ-ის მოთხოვნებს;

9.3.წევრობა/ასოცირებული წევრობა წყდება წევრობიდან გასვლით, გარიცხვით ან გაუქმებით, რაც არ ათავისუფლებს წევრს/ასოცირებულ წევრს სფფ-ის ან სფფ-ის სხვა წევრების/ასოცირებული წევრების მიმართ ფინანსური ვალდებულებისგან, მაგრამ მას უწყდება სფფ-სთან დაკავშირებული უფლებები.

მუხლი 10.წევრად/ასოცირებულ წევრად მიღება

10.1. სფფ-ის წევრები/ასოცირებული წევრები შეიძლება იყვნენ:

ა) რეგიონული ფედერაციები;

ბ) საფეხბურთო კლუბები;

გ)ფეხბურთთან დაკავშირებული ასოციაციები და გაერთიანებები.

10.2.სფფ-ის წევრები არიან:

ა) რეგიონული ფედერაციები:

- ა(ა)იპ `აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 249260570);
- ა(ა)იპ `აჭარის ფეხბურთის ფედერაცია~ (ს/კ 245434819);
- ა(ა)იპ `სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 222014610);
- ა(ა)იპ `ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 202886519);
- ა(ა)იპ `იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 212705615);
- ა(ა)იპ `სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 220016337);
- ა(ა)იპ `შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 218022459);
- კახეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია (ს/კ 231199823);
- ა(ა)იპ `გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 233645393);
- ა(ა)იპ `მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია” (ს/კ 236090092);
- ა(ა)იპ `სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია-2011” (ს/კ 424065852)
- ა(ა)იპ `რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია”

(ს/კ 222943527);

- ა(ა)იპ `ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია~ (ს/კ 416353118);

გ) საფეხბურთო კლუბები:

- შპს `საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი" (ს/კ 204423454) ;
- შპს ""საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი" (ს/კ 230091664);
- შპს "საფეხბურთო კლუბი ვიტ ჯორჯია (ს/კ 211367545);
- შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი" (ს/კ 212917183);
- შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი (LთD Fოოტბალლ ჩლუბ შიონი) (ს/კ 225376189);
- შპს "საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913" (ს/კ 215137830);
- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ცხინვალის `ცხინვალი~ (ს/კ 218073741);
- ა(ა)იპ "კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" (ს/კ 238775704);
- ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი" (ს/კ 417874973) ;
- შპს "მერანი" (ს/კ 235446754);
- შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა" (ს/კ 200112476);

გ) ფეხბურთთან დაკავშირებული ასოციაციები და გაერთიანებები:

- ა(ა)იპ `საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანება" (ს/კ 202062445)
- ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი" (ს/კ 201990177);-
- ა(ა)იპ `საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი (სფმმდკ)" (ს/კ 205239945);
- ა(ა)იპ `საქართველოს ფუტსალის (დარბაზის ფეხბურთის) ასოციაცია~ (ს/კ 202207290);
- ა(ა)იპ "საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია" (ს/კ 202218466).
- ა(ა)იპ საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია (ს/კ 402020371);

დ) სფფ-ის ასოცირებული წევრებია:

- შპს საფეხბურთო კლუბი `საბურთალო~ (ს/კ 211389665);
- შპს საფეხბურთო კლუბი `თელავი~ (ს/კ 405158975);
- ა(ა)იპ 7X7 ფეხბურთის ასოციაცია (ს/კ 404573323

10.3.რეგიონული ფედერაციები წარმოადგენენ რეგიონებში არსებული საქალაქო და მუნიციპალური ფეხბურთის ფედერაციების, საფეხბურთო კლუბების, სკოლების და

ფეხბურთთან დაკავშირებული სხვა ჯგუფების ინტერესებს და შექმნილი არიან სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად;

10.4.სფფ-ში გაწევრიანების მსურველმა სუბიექტმა შესაბამისი წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სფფ-ის გენერალურ სამდივნოს;

10.5.განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი აუცილებელი საბუთები:

ა)მათი წესდების და დებულებების ასლი;

ბ)განაცხადი იმის შესახებ, რომ განმცხადებელი კისრულობს ვალდებულებას დაიცვას და შეასრულოს სფფ-ის, ფიფას და უეფას წესდებები, დებულებები და გადაწყვეტილებები, აგრეთვე უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილის შესრულებას მისი წევრების, კლუბების, ოფიციალური პირების და მოთამაშეების მიერ;

გ)განაცხადი იმის შესახებ, რომ დაემორჩილება თამაშის მოქმედ წესებს;

დ)განაცხადი იმის შესახებ, რომ იგი ცნობს სფფ-ის მიერ აღიარებულ საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალს და სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) ქ. ლოზანაში;

ე)განაცხადი იმის შესახებ, რომ მისი შტაბ-ბინა მდებარეობს და რეგისტრირებულია საქართველოში;

ვ)განაცხადი იმის შესახებ, რომ იგი ყველა ოფიციალურ საშინაო მატჩს ჩაატარებს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც საფეხბურთო საქმიანობას განაგებს სფფ;

ზ)განაცხადი, რომლის თანახმად, განმცხადებლის სამართლებრივი სტრუქტურა იძლევა რომელიმე გარე პირისგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების გარანტიას;

თ)განმცხადებლის ოფიციალური პირების (წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები) სია აღნიშვნით, თუ ვის აქვს მინიჭებული ხელმოწერისა და მესამე პირებთან ხელშეკრულებების გაფორმების უფლებამოსილებანი;

ი)განაცხადი იმის შესახებ, რომ იგი ნებისმიერი ამხანაგური მატჩის ორგანიზებას და მონაწილეობას შეათანხმებს სფფ-სთან;

კ)განმცხადებლის ბოლო ყრილობის (კონფერენციის, კრების) ან სადამფუძნებლო კრების ოქმის ასლი;

ლ)შესაბამისი კომპენტენტური ორგანოს მიერ ოფიციალური რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

მ)განაცხადში უნდა მიეთითოს განმცხადებელს წევრობა სურს თუ ასოცირებული წევრობა.

10.6.სფფ-ის წევრი არ შეიძლება იყოს საფეხბურთო კლუბი ან/და ფეხბურთთან დაკავშირებული ასოციაციები და გაერთიანებები, რომლის მესაკუთრე/ბენეფიციარი

მესაკუთრე, წილის/აქციის მფლობელი (მიუხედავად წილის ოდენობისა), დამფუძნებელი არიან სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

10.7.10.5. და 10.6. მუხლები არ შეეხება არსებული წევრების სტატუსს.

მუხლი 11.განცხადების მიღების მოთხოვნები და პროცედურა

11.1.წევრად/ასოცირებულ წევრად მიღება რეგულირდება სფფ-ის წესდების შესაბამისად;

11.2.სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა დააყენოს საკითხი ყრილობის წინაშე განმცხადებლის წევრად/ასოცირებულ წევრად მიღების ან არმიღების შესახებ. განმცხადებელს აქვს უფლება მოსმენილ იქნეს ყრილობაზე. წევრობის/ასოცირებული წევრობის მსურველი მიიღებს წევრობის/ასოცირებული წევრობის უფლებებსა და მოვალეობებს სფფ-ში მიღებისთანავე.

11.3.მხოლოდ წევრების დელეგატებს გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება და მათი არჩევა უნდა მოხდეს სასწრაფო წესით. ასოცირებულ წევრებს არ გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება.

მუხლი 12.წევრთა/ასოცირებულ წევრთა უფლებები

12.1.სფფ-ის წევრებს გააჩნიათ შემდეგი უფლებები:

ა)წინასწარ გაეცნონ ყრილობის დღის წესრიგს, მიიღონ ყრილობაზე დასწრების შეტყობინება განსაზღვრულ ვადაში, მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში და ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით;

ბ)შეიმუშავონ წინადადებები ყრილობის დღის წესრიგში ჩასართავად;

გ)დაასახელონ კანდიდატები სფფ-ის ყველა ორგანოში;

დ)გაეცნონ ინფორმაციას სფფ-ის საქმიანობის შესახებ;

ე)მიიღონ მონაწილეობა სფფ-ის ეგიდით გამართულ საფეხბურთო შეჯიბრებებში და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებში;

ვ)ისარგებლონ სფფ-ის წესდებით, დებულებებით, ინსტრუქციებითა და გადაწყვეტილებებით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით.

12.2.სფფ-ის ასოცირებულ წევრებს გააჩნიათ შემდეგი უფლებები:

ა)წინასწარ გაეცნონ ყრილობის დღის წესრიგს, მიიღონ ყრილობაზე დასწრების შეტყობინება განსაზღვრულ ვადაში და მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში. ასოცირებულ წევრებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება;

ბ)შეიმუშავონ წინადადებები ყრილობის დღის წესრიგში ჩასართავად;

გ)გაეცნონ ინფორმაციას სფფ-ის საქმიანობის შესახებ;

დ)მიიღონ მონაწილეობა სფფ-ის ეგიდით გამართულ საფეხბურთო შეჯიბრებებში და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებში;

ე)ისარგებლონ სფფ-ის წესდებით, დებულებებით, ინსტრუქციებითა და გადაწყვეტილებებით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით.

მუხლი 13.წევრთა/ასოცირებული წევრთა ვალდებულებები

13.1.სფფ-ის თითოეული წევრი/ასოცირებული წევრი ვალდებულია:

ა) დაემორჩილოს და პატივი სცეს სფფ-ის, ფიფას და უეფას წესდებებს, დებულებებს, დირექტივებს და გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოს მათი დაცვა თავიანთი წევრების მიერ;

ბ) უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების თავისუფლად არჩევა;

გ) მიიღოს მონაწილეობა სფფ-ის ეგიდით გამართულ საფეხბურთო შეჯიბრებებში;

დ) წევრი ვალდებულია გადაიხადოს წლიური საწევრო შესატანი, ხოლო ასოცირებული წევრი ვალდებულია გადაიხადოს წევრისათვის დადგენული საწევრო შენატანის ნახევარი;

ე) დაიცვას ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IFAB) თამაშის წესები და უზრუნველყოს მათი დაცვა მისი წევრების მიერ;

ვ) განსაზღვროს წესდებაში მუხლი, რომ სფფ-ის ფიფას, უეფას ან პროფესიული ლიგების წესდებებთან, დებულებებთან, მითითებებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომელშიც თავად ან მისი რომელიმე წევრი მონაწილეობს, საბოლოო ინსტანციაში შესაძლოა გადაეცეს მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, ე.ი. თუ დავა საერთაშორისო მასშტაბისაა – შვეიცარიის ქ. ლოზანაში მდებარე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS), ხოლო თუ ეროვნული მასშტაბისაა – შპს "საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალს";

ზ) აცნობოს სფფ-ის თავისი წესდების, დებულებების, ოფიციალურ პირთა სიის, ხელმოწერისა და სამართლებრივი ხელშეკრულებების გაფორმების უფლებამოსილების მქონე პირების შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

თ) არ იქონიოს სპორტული ხასიათის ურთიერთობები იმ სუბიექტებთან, რომლებიც არ არიან აღიარებული სფფ-ის მიერ, ან უფლებამოსილება შეჩერებულ და გარიცხულ წევრებთან/ასოცირებულ წევრებთან;

ი) დაიცვას ლოიალობის, პატიოსნების და სპორტული ეთიკის ნორმები და `სამართლიანი თამაშის~ პრინციპები;

კ) დაიცვას ამ წესდების მუხლი 10.5 –ში მოყვანილი სავალდებულო მოთხოვნები;

ლ)შეასრულოს წინამდებარე წესდებიდან და სფფ-ის სხვა დებულებებიდან, ინსტრუქციებიდან და გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

13.2.წევრების/ასოცირებული წევრების მიერ ზემოთხსენებული ვალდებულებების რაიმე სახით დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ამ წესდებით გათვალიწინებული სანქციების გამოყენება.

მუხლი 14.წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება

14.1.წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერებაზე უფლებამოსილება გააჩნია სფფ-ის ყრილობას. თუმცა სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტსაც შეუძლია დაუყოვნებლივ შეუჩეროს წევრობა/ასოცირებულ წევრობა იმ წევრს/ასოცირებულ წევრს, რომელიც უხეშად არღვევს თავის ვალდებულებებს. წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება გრძელდება მომდევნო ყრილობამდე, თუ აღმასრულებელი კომიტეტი მანამდე არ მოხსნის ამ საკითხს;

14.2.წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება, რომელზეც გადაწყვეტილება მიიღო სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა, უნდა დამტკიცდეს მომდევნო ყრილობაზე ხმის მიმცემი წევრების ხმათა უმრავლესობით. თუ წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება ყრილობაზე არ დამტკიცდა, საკითხი ავტომატურად მოიხსნება;

14.3.წევრობის/ასოცირებული წევრობის შეჩერება იწვევს წევრის/ასოცირებული წევრის სტატუსიდან გამომდინარე უფლებების დაკარგვას. სადისციპლინო კომიტეტმა შეიძლება სხვა დამატებითი სანქციებიც დააკისროს მას;

14.4.წევრებს/ასოცირებულ წევრებს, რომლებიც არ მონაწილეობენ სფფ-ის ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში, შეუჩერდებათ ხმის უფლება, მანამ, სანამ ისინი არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ამასთან დაკავშირებით.

მუხლი 15.წევრის/ასოცირებული წევრის სტატუსის ჩამორთმევა (გარიცხვა)

15.1.სფფ-ის ყრილობას შეუძლია გარიცხოს წევრი/ასოცირებული წევრი:

ა)თუ ის დაარღვევს სფფ-სადმი ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს;

ბ)თუ ის უხეშად დაარღვევს სფფ-ის, ფიფას და უეფას წესდებებს, დებულებებს, დირექტივებს და გადაწყვეტილებებს;

15.2.ხმის უფლების მქონე წევრების აბსოლუტური უმრავლესობის დასწრება ყრილობაზე აუცილებელია გარიცხვის ძალაში შესვლისთვის;

15.3.გარიცხვის განზრახვა უნდა იქნეს მიღებული მოქმედი მიცემული ხმების 3/4 –ით.

მუხლი 16.წევრობიდან/ასოცირებული წევრობიდან გასვლა

16.1.წევრს/ასოცირებულ წევრს შეუძლია გამოვიდეს სფფ-ის შემადგენლობიდან მხოლოდ ფინანსური წლის ბოლოს, რის შესახებაც იგი დაზღვეული წერილით აცნობებს სფფ-ის გენერალურ სამდივნოს, სულ მცირე 6 თვით ადრე;

16.2.გასვლა ძალაში არ შევა, მანამ, სანამ გასვლის მსურველი წევრი/ასოცირებული წევრი, სფფ-ის და სფფ-ის წევრების წინაშე არ შეასრულებს ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს.

მუხლი17. რეგიონული ასოციაციების, კლუბების და ფეხბურთთან დაკავშირებული ასოციაციების და გაერთიანებების სტატუსი

17.1.სფფ-ში გაწევრიანებული რეგიონული ასოციაციები, კლუბები და ფეხბურთთან დაკავშირებული ასოციაციები და გაერთიანებები უნდა ექვემდებარებოდნენ სფფ-ს და აღიარებული იყვნენ მის მიერ. სფფ-ის წესდება განსაზღვრავს ამ ჯგუფების უფლება მოვალეობებს. მათი წესდებები და დებულებები უნდა იყოს დადასტურებული სფფ-ის აღმასკომის მიერ;

17.2.სფფ-ში გაერთიანებული კლუბები და ჯგუფები უზრუნველყოფენ, რომ წევრობის შესახებ ნებისმიერ საკითხზე ყველა გადაწყვეტილებას მიიღებენ ყოველგვარი გარე ორგანოებისგან დამოუკიდებლად. ეს ვალდებულება მოქმედებს მათი კორპორაციული სტრუქტურის მიუხედავად;

17.3.ნებისმიერი მატჩის ან შეჯიბრის სამართლიანობის ხელშეშლის თავიდან აცილების მიზნით ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს (ჰოლდინგური კომპანიების და ფილიალების ჩათვლით) ეკრძალება ერთ კლუბზე ან ჯგუფზე მეტის გაკონტროლება.

III.საპატიო პრეზიდენტი, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი, საპატიო წევრი

მუხლი 18.საპატიო პრეზიდენტი, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი, საპატიო წევრი

18.1.სფფ-ის ყრილობას შეუძლია მიანიჭოს საპატიო პრეზიდენტის, საპატიო ვიცე-პრეზიდენტისა და საპატიო წევრის წოდება ნებისმიერ პირს საფეხბურთო მოღვაწეობაში მიღწეული დამსახურებისათვის;

18.2.მათ წარადგენს სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი;

18.3.საპატიო პრეზიდენტს, საპატიო ვიცე-პრეზიდენტს და საპატიო წევრს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში. მათ შეუძლიათ ჩაერთონ დებატებში, მაგრამ არ გააჩნიათ ხმის უფლება.

IV.ორგანიზაცია

მუხლი 19.სფფ-ის ორგანოები

სფფ-ის ორგანოებია:

19.1.ყრილობა, რომელიც არის უმაღლესი ორგანო;

19.2.აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც არის აღმასრულებელი ორგანო;

19.3.მუდმივმოქმედი და სპეციალური კომიტეტები, რომლებიც დახმარებას უწევენ აღმასრულებელ კომიტეტს თავისი მოვალეობების შესრულებაში. მათი შემადგენლობები და ძირითადი მოვალეობები განსაზღვრულია წინამდებარე წესდებაში, ხოლო მათი ფუნქციები და დამატებითი მოვალეობები მოცემულია სპეციალურ წესებში, რომლებიც დადგენილია სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

19.4.გენერალური სამდივნო, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანო;

19.5.იურიდიული ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს, სააპელაციო კომიტეტს, კლუბების ლიცენზირების კომიტეტს და კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს;

19.6.სფფ თავის საქმეებს აგვარებს დამოუკიდებლად და მესამე მხარისგან ზეგავლენის გარეშე. სფფ-ის ორგანოები უნდა აირჩეს ან დაინიშნოს პროცედურების შესაბამისად, რომელიც დამოუკიდებელია პოლიტიკური ჩარევისა თუ ზეგავლენისგან.

19.7.სფფ-ის ორგანოები, ისევე როგორც მათი წევრები არიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი. ასეთი ორგანოს წევრი არ უნდა ჩაერიოს საქმის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან ინტერესთა კონფლიქტის რისკი.

ა. ყრილობა

მუხლი 20.სფფ-ის ყრილობა

20.1.ყრილობა არის სფფ-ის წევრთა და ასოცირებულ წევრთა კრება. ის წარმოადგენს სფფ-ის უმაღლეს ორგანოს. მხოლოდ წინამდებარე წესდების თანახმად მოწვეული ყრილობაა უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილებები;

20.2.ყრილობა შეიძლება იყოს რიგითი და რიგგარეშე;

20.3.სფფ-ის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს ყრილობას, ყრილობის რეგლამენტის შესაბამისად;

20.4.ყრილობას შეუძლია დანიშნოს დამკვირვებლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ყრილობის მუშაობაში. ასოცირებული წევრები მონაწილეობას იღებენ ყრილობის მუშაობაში, მაგრამ მათ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

მუხლი 21.დელეგატები და ხმები

21.1.სფფ-ის ყრილობაზე სფფ-ის წევრები/ასოცირებული წევრები წარმოდგენილი არიან დელეგატების მიერ. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა, ასოცირებული წევრები არ სარგებლობენ ხმის უფლებით. ყრილობაზე სფფ-ის 30 წევრს წარმოადგენს 30 დელეგატი. მხოლოდ ყრილობაზე წარმოდგენილ წევრების დელეგატებს აქვთ ხმის მიცემის უფლება. მინდობილობის საფუძველზე ან წერილობითი თანხმობით ხმის მიცემა აკრძალულია;

21.2.სფფ-ის წევრები/ასოცირებული წევრები წარმოადგენენ დელეგატებს, რომლებსაც დანიშნავენ ან აირჩევენ არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში – წევრების წარმომადგენლობითი ორგანოები, ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში – წევრების სათანადო უფლებამოსილი ორგანოები. მათ უნდა შეეძლოთ სფფ-ის მოთხოვნისთანავე წარმოადგინონ ამის დადასტურება.

21.3.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები და გენერალური მდივანი მონაწილეობენ ყრილობის მუშაობაში ხმის გარეშე. სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები თავიანთი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არ შეიძლება დანიშნული იყვნენ დელეგატებად. სფფ-ის ყრილობის დელეგატებად ასევე არ შეიძლება დანიშნული იყვნენ სფფ-ის თანამშრომლები.

მუხლი 22.უფლებამოსილებათა ფარგლები

სფფ-ის ყრილობას, რომელზეც წარმოდგენილი არიან წევრთა დელეგატები გააჩნია შემდეგი უფლებები:

ა)სფფ-ის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ბ)ოქმის შესამოწმებლად და დასამტკიცებლად სამი დელეგატის დანიშვნა;

გ)სფფ-ის პრეზიდენტის და აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევა;

დ)დამკვირვებლების დანიშვნა;

ე)ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;

ვ)ბიუჯეტის დამტკიცება;

ზ)სფფ-ის პრეზიდენტის, აღმასრულებელი კომიტეტისა და სფფ-ის ადმინისტრაციის სამოქმედო ანგარიშის დამტკიცება;

თ)სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნა;

ი)საწევრო შენატანების განსაზღვრა;

კ)სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარდგენილი საპატიო პრეზიდენტის, საპატიო ვიცე-პრეზიდენტის და საპატიო წევრის წოდებების მინიჭება;

ლ)წევრის მიღება, გარიცხვა ან გათავისუფლება;

მ)სფფ-ის რომელიმე ორგანოს ერთი ან მეტი წევრისათვის მანდატის ჩამორთმევა;

ნ)სფფ-ის ლიკვიდაცია;

მუხლი 23.ყრილობის ქვორუმი

23.1.ყრილობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება ხმის მიცემის უფლების მქონე წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა (50% + 1);

23.2.თუ ქვორუმი არ იქნება მიღწეული, ყრილობა გადაიდება 24 საათით, იგივე დღის წესრიგით;

23.3.გადადებულ ყრილობაზე ქვორუმი არ მოითხოვება, თუ დღის წესრიგში შეტანილი არაა საკითხი სფფ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანის, პრეზიდენტის და აღმასრულებელი

კომიტეტის არჩევის, სფფ-ის ორგანოს ერთი ან მეტი წევრის გათავისუფლების, სფფ-ის წევრთა გარიცხვის ან სფფ-ის ლიკვიდაციის შესახებ.

მუხლი 24.ყრილობის გადაწყვეტილებები

24.1.თუ წინამდებარე წესდებით სხვაგვარად არ დადგინდება, გადაწყვეტილებები მიიღება ხმის მიცემის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობით. დათვლილი ხმების რიცხვი გადაწყვეტს უმრავლესობას. არასწორად შევსებული ან შეუვსებელი საარჩევნო ბიულეტენები უგულებელყოფილი იქნება;

24.2.ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს კენჭისყრას, უნდა იქნეს მიღებული ხელის აწევით ან ელექტრონული დათვლით. იმ შემთხვევაში, თუ ხელის აწევით არ გამოიკვეთა წინადადების სასარგებლოდ აშკარა უმრავლესობა, წევრების გამოძახება მოხდება ანბანის მიხედვით.

მუხლი 25.არჩევნები

25.1.არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით;

25.2.ასარჩევი პიროვნებისათვის კენჭისყრის პირველ ტურში საჭიროა ხმის უფლების მქონე პირთა აბსოლუტური უმრავლესობა (50+1). მეორე და ნებისმიერ სხვა აუცილებელ კენჭისყრაზე ხმათა უბრალო უმრავლესობა;

25.3.თუ ერთ ადგილზე ორ კანდიდატზე მეტია, მაშინ ის კანდიდატი, რომელსაც ხმათა ყველაზე ნაკლები რაოდენობა აქვს, ამოღებული იქნება შემდეგი ტურიდან და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ საბოლოოდ 2 კანდიდატი არ დარჩება.

მუხლი 26.რიგითი ყრილობა

26.1.რიგითი ყრილობა გაიმართება ყოველწლიურად;

26.2.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს რიგითი ყრილობის ჩატარების დროს და ადგილს. წევრებს/ასოცირებულ წევრებს ყრილობაზე მოწვევის წერილობითი შეტყობინება ეგზავნებათ ყრილობის ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 40 დღით ადრე;

26.3.სფფ-ის ყრილობის ჩატარებამდე სულ მცირე 20 დღით ადრე წევრებს/ასოცირებულ წევრებს ეგზავნებათ ოფიციალური წერილობითი შეტყობინება, რომელიც უნდა მოიცავდეს ყრილობის დღის წესრიგს, პრეზიდენტის, აღმასრულებელი კომიტეტის და ადმინისტრაციის სამოქმედო ანგარიშს, ფინანსურ ანგარიშს, აუდიტორის დასკვნას და სხვა საჭირო დოკუმენტაციას.

მუხლი 27.რიგითი ყრილობის დღის წესრიგი

27.1.რიგითი ყრილობის დღის წესრიგს, სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტისა და წევრებისაგან/ასოცირებული წევრებისაგან მიღებული შემოთავაზებების გათვალისწინებით, ადგენს სფფ-ის გენერალური სამდივნო. სფფ-ის წევრს/ასოცირებულ წევრს შეუძლია რიგითი ყრილობის დღის წესრიგთან დაკავშირებული ნებისმიერ შემოთავაზება გადასცეს გენერალურ

სამდივნოს წერილობით მოკლე აღწერილობით, ყრილობის თარიღამდე სულ მცირე 30 დღით ადრე;

27.2.რიგითი ყრილობის დღის წესრიგი შეიცავს შემდეგ სავალდებულო საკითხებსა და დოკუმენტაციას:

ა)განაცხადი იმის შესახებ, რომ ყრილობა მოწვეულია სფფ-ის წესდების შესაბამისად;

ბ)დღის წესრიგის დამტკიცება;

გ)პრეზიდენტის მოხსენება;

დ)სამი დელეგატის დანიშვნა ოქმის შესამოწმებლად;

ე)დამკვირვებლების დანიშვნა;

ვ)წევრის/ასოცირებული წევრის მიღება, სტატუსის შეჩერება ან გარიცხვა (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);

ზ)წინა ყრილობის ოქმის დამტკიცება 30-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

თ)წინა ყრილობის შემდეგ სფფ-ის პრეზიდენტის, აღმასრულებელი კომიტეტის და ადმინისტაციის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში;

ი)კონსოლიდირებული და შემოწმებული საბუღალტრო ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშები;

კ) ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;

ლ)ბიუჯეტის დამტკიცება;

მ)საწევრო გადასახადი (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);

ნ)სფფ-ის წესდებაში, მის მარეგულირებელ დებულებებში და ყრილობის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის წინადადებებზე კენჭისყრა (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);

ო)სფფ-ის წევრების/ასოცირებული წევრების და აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);

პ)დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნა;

ჟ)პიროვნების ან ორგანოს დათხოვნა (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);

რ)პრეზიდენტის და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა (თუკი ასეთი საჭიროება არსებობს);

27.3.რიგითი ყრილობის დღის წესრიგი შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში თუ ყრილობის დამსწრე წევრების 2/3 ეთანხმება ამ ცვლილებას;

27.4.ყრილობას არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე, რომელიც არაა შეტანილი დღის წესრიგში.

მუხლი 28. რიგგარეშე ყრილობა

28.1.სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა ნებისმიერ დროს;

28.2.სფფ-ის ყველა წევრის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე, რაც წერილობით სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული, სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. თუ რიგგარეშე ყრილობა არ იქნა მოწვეული, მაშინ იმ წევრებს, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი მოთხოვნა, შეუძლიათ თვითონ მოიწვიონ რიგგარეშე ყრილობა. ამ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ დახმარებისთვის მიმართონ ფიფას ან უეფას;

28.3.სფფ-ის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობას, რომელზედაც აირჩევა ახალი პრეზიდენტი, იწვევს აღმასრულებელი კომიტეტი;

28.4.რიგგარეშე ყრილობის ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი წევრებს გაეგზავნებათ, რიგგარეშე ყრილობის ჩატარებამდე სულ მცირე 15 დღით ადრე;

28.5.თუ რიგგარეშე ყრილობას იწვევს სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი, მაშინ დღის წესრიგი დგება თვითონ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. თუ რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა სფფ-ის წევრების მოთხოვნის საფუძველზე, მაშინ დღის წესრიგი უნდა შეიცავდეს ამ წევრების მიერ წამოყენებულ საკითხებს. იმ შემთხვევაში თუ სფფ-ის წევრების მიერ მოთხოვნილი იქნება სფფ-ის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები, მაშინ გადაწყვეტილებას ამ საკითხზე მიიღებს რიგგარეშე ყრილობა სფფ-ის წევრების 2/3-ით.

28.6.რიგგარეშე ყრილობის დღის წესრიგი არ შეიძლება შეიცვალოს.

მუხლი 29. წესდებაში ცვლილებები

29.1.სფფ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ყრილობაზე;

29.2.წესდებაში ნებისმიერი სახის ცვლილების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს სფფ-ის გენერალურ სამდივნოს წერილობით სფფ-ის წევრის ან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

29.3.სფფ-ის წესდებაში ცვლილებების შესატანად სავალდებულოა ყრილობაზე წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის (50% + 1) დასწრება;

29.4.წესდებაში ცვლილებების შეტანის წინადადება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ მას მხარს უჭერს ხმის უფლების მქონე დამსწრე წევრთა 2/3 მაინც;

მუხლი 30. ოქმი

ყრილობის ოქმის გაფორმებაზე პასუხიმგებელია სფფ-ის გენერალური სამდივნო. ოქმი მოწმდება ამ მიზნით დანიშნული დელეგატების მიერ. ყრილობის ოქმი წევრებს/ასოცირებულ წევრებს ეგზავნებათ ყრილობის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში. ოქმი ჩაითვლება დამტკიცებულად თუ მისი გაგზავნიდან 10 დღის განმავლობაში სფფ-ის გენერალურ

სამდივნოში არ შემოვა წერილობითი საჩივარი ოქმის სისწორესთან დაკავშირებით. საჩივრის წარმოდგენის შემთხვევაში ოქმი დასამტკიცებლად წარედგინება მომდევნო ყრილობას.

მუხლი 31. გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი

ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ყრილობის დასრულებისთანავე, თუ ყრილობა არ განსაზღვრავს სხვა თარიღს.

ბ. აღმასრულებელი კომიტეტი

მუხლი 32.აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა, წევრების არჩევა

32.1.აღმასრულებელი კომიტეტი შედგება სფფ-ის პრეზიდენტის, რომელიც ამავდროულად არის სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და ყრილობაზე არჩეული 10 წევრისაგან, მათ შორის არანაკლებ ერთი ქალისა;

32.2.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები აირჩევიან ყრილობის მიერ ინდივიდუალურად. თითოეული კანდიდატი უნდა იქნეს წარდგენილი მინიმუმ ერთი წევრის მიერ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა მანდატი იწყება იმ ყრილობის დასრულების შემდეგ, რომელზეც აირჩა და გრძელდება ოთხ წელიწადს, ყრილობამდე, რომელზედაც აირჩევა ახალი აღმასრულებელი კომიტეტი. ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული ახალი ვადით;

32.3.აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არ უნდა იყვნენ 70 წელზე უფროსები და 24 წელზე უმცროსები. ისინი უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, აქტიურად ჩართული საფეხბურთო საქმიანობაში და არ უნდა იყვნენ ნასამართლევი. სფფ-ის აღმასკომის წევრობის კანდიდატებმა წერილობითი ფორმით უნდა დაადასტურონ, რომ აღიარებენ სფფ-ის, ფიფას და უეფას წესდებებს, დებულებებს და გადაწყვეტილებებს.

32.4.კანდიდატურები უნდა გაიგზავნოს სფფ-ის გენერალურ სამდივნოში. კანდიდატთა სია დღის წესრიგთან ერთად უნდა გადაეცეს სფფ-ის წევრებს.

32.5.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არ შეიძლება ამავდროულად იყვნენ სფფ-ის იურიდიული ორგანოების წევრები. სფფ-ის წევრს აღმასრულებელ კომიტეტში არ უნდა ყავდეს ერთზე მეტი წარმომადგენელი;

32.6.სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტში თუ თანამდებობა ხდება ვაკანტური, სფფ-ის იმ წევრებს, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი სფფ-ს აღმასრულებელ კომიტეტში, შეუძლიათ წარმოადგინონ კანდიდატები, რომელთა არჩევა სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტში მოხდება სფფ-ის მორიგ ყრილობაზე. შემცვლელი აირჩევა მანდატის დარჩენილი ვადით.

მუხლი 33. სხდომები

33.1.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები ტარდება არანაკლებ ოთხჯერ წელიწადში;

33.2.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს იწვევს სფფ-ის პრეზიდენტი. თუ აღმასრულებელი კომიტეტის სულ მცირე 5 წევრი მოითხოვს სხდომის ჩატარებას, პრეზიდენტი ვალდებულია დანიშნოს სხდომა 21 დღის განმავლობაში;

33.3.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის დღის წესრიგს ადგენს სფფ-ის პრეზიდენტი. აღმასრულებელი კომიტეტის თითოეულ წევრს უფლება აქვს შეიტანოს დღის წესრიგში საკითხები, რის შესახებაც უნდა ეცნობოს სფფ-ის გენერალურ სამდივნოს სხდომის ჩატარებამდე სულ ცოტა 7 დღით ადრე. აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს დღის წესრიგი ეგზავნებათ სხდომამდე სულ ცოტა 5 დღით ადრე;

33.4.სფფ-ის გენერალური მდივანი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს ესწრება კონსულტანტის სტატუსით;

33.5.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები არ ტარდება საჯაროდ. თუმცა აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია სხდომაზე დასასწრებად მოიწვიოს მესამე მხარეები, მაგრამ მათ არ ექნებათ ხმის მიცემის უფლება და შეეძლებათ მხოლოდ აზრის გამოხატვა აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

33.6.აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციური არხების გამოყენებით.

33.7.სფფ-ის პრეზიდენტი უფლებამოსილია გასაკუთრებულ შემთხვევებში დაუყოვნებლივ 24 საათის განმავლობაში მოიწვიოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რა დროსაც წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვადების დაცვა არ მოითხოვება.

მუხლი 34. სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილება

სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი უფლებამოსილია:

ა)მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ შედის ყრილობის კომპეტენციაში ან არ ევალებათ სხვა ორგანოებს კანონით ან ამ წესდების მიხედვით;

ბ)მოიწვიოს სფფ-ის რიგითი და რიგგარეშე ყრილობები;

გ)სფფ-ის პრეზიდენტის წარდგინებით დანიშნოს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტები, აღმასრულებელი კომიტეტის წევრებიდან;

დ)დანიშნოს სფფ-ის მუდმივმოქმედი კომიტეტების თავმჯდომარეები, მოადგილეები და წევრები;

ე)დანიშნოს იურიდიული ორგანოების თავმჯდომარეები, მოადგილეები და წევრები;

ვ)საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური (დროებითი) კომიტეტების შექმნის შესახებ;

ზ)მიიღოს წესები მუდმივმოქმედი და დროებითი კომიტეტების ორგანიზაციისთვის;

თ)სფფ-ის პრეზიდენტის წარდგინებით დანიშნოს ან გაათავისუფლოს გენერალური მდივანი;

ი)შესთავაზოს ყრილობას დამოუკიდებელი აუდიტორები;

კ)დაადგინოს სფფ-ის ტურნირებში მონაწილე გუნდების რაოდენობა, ადგილი და დრო;

ლ)დანიშნოს ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელები;

მ)დაამტკიცოს დებულებები, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ უნდა მოხდეს სფფ-ის ორგანიზება შიდა განაწესით;

ნ)უზრუნველყოს წესდების, დებულებების განსახორციელებლად საჭირო სააღმსრულებლო ღონისძიებების გატარება ფიზიკური პირებისათვის წესდების 58.2.ა და 58.2.ვ მუხლების შესაბამისად, ხოლო იურიდიული პირებისათვის 58.3.ვ, 58.3.თ და 58.3.ი მუხლების შესაბამისად. იურიდიული ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებები სააღმსრულებლოდ გადაეცემა სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს და იგი არ საჩივრდება;

ო)გაათავისუფლოს ან დანიშნოს პიროვნება, ორგანო ან შეუჩეროს უფლებამოსილება წევრს-ასოცირებულ წევრს მომდევნო ყრილობამდე;

პ)გაანაწილოს დავალებები სფფ-ის სხვა ორგანოებზე ან მესამე მხარეებზე, მათი უფლებამოსილების ფარგლებიდან გამომდინარე.

მუხლი 35. გადაწყვეტილებები

35.1.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტს არა აქვს უფლება გამართოს ოფიციალური განხილვები და მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას არ ესწრება წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა (50% +1);

35.2.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, თუ სფფ-ის წესდებაში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტია პრეზიდენტის ხმა. წერილობით ხმის მიცემა არ არის დაშვებული;

35.3.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის ნებისმიერ წევრს შეიძლება აეკრძალოს დებატებში მონაწილეობა, თუ არსებობს ამ წევრის სფფ-ის ნებისმიერ წევრთან მიმართებაში ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა ან რისკი;

35.4.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში;

35.5.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები ძალაში შედის მიღებისთანავე, თუკი აღმასრულებელი კომიტეტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

მუხლი 36. პიროვნების ან ორგანოს დათხოვნა

36.1.სფფ-ის ყრილობას შეუძლია დაითხოვოს პიროვნება ან ორგანო. სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია პიროვნების ან ორგანოს დათხოვნის საკითხი დააყენოს დღის წესრიგში. აღმასრულებელ კომიტეტს ასევე შეუძლია დაითხოვოს პიროვნება ან ორგანო დროებით. აღმასრულებელი კომიტეტის ნებისმიერ წევრს შეეძლება დააყენოს ასეთი მოთხოვნა აღმასრულებელი კომიტეტის ან ყრილობის დღის წესრიგში;

36.2.პიროვნების ან ორგანოს დათხოვნა უნდა იყოს იურიდიულად გამართული. იგი ეგზავნება სფფ-ის წევრებს/ასოცირებულ წევრებს დღის წესრიგთან ერთად;

36.3.დაინტერესებულ პიროვნებას ან ორგანოს საკუთარი თავის დასაცავად აქვს უფლება, იქნეს მოსმენილი;

36.4.თუ დათხოვნის წინადადება წამოიჭრება, ყრილობა ან აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. წინადადების გასასვლელად საჭიროა მოქმედი მიცემული ხმების 2/3 ;

36.5.დათხოვნილ პიროვნებას ან ორგანოს დაუყოვნებლივ ჩამოერთმევა თავისი ფუნქციები.

გ. პრეზიდენტი

მუხლი 37. პრეზიდენტი

37.1.სფფ-ის პრეზიდენტი არის სფფ-ის ხელმძღვანელობითი და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი;

37.2.სფფ-ის პრეზიდენტის უშუალო მოვალეობებს წარმოადგენს:

ა)ყრილობის და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება გენერალური სამდივნოს მეშვეობით;

ბ)სფფ-ის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით;

გ)სფფ-ის გენერალური სამდივნოს ზედამხედველობა;

დ)სფფ-ის ურთიერთობების ჩამოყალიბება მის წევრებთან/ასოცირებული წევრების, ფიფასთან, უეფასთან, სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციებთან;

37.3.მხოლოდ პრეზიდენტს აქვს სფფ-ის გენერალური მდივნის დანიშვნის და გათავისუფლების შეთავაზების უფლება;

37.4.პრეზიდენტი თავმჯდომარეობს ყრილობას, აღმასრულებელი კომიტეტის და საგანგებო კომიტეტის სხდომებს და იმ კომიტეტის სხდომებს რომლებზედაც არჩეულ იქნა თავმჯდომარედ;

37.5.სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტში პრეზიდენტს გააჩნია ჩვეულებრივი ხმა და თანაბარი ხმების შემთხვევაში, მას აქვს გადამწყვეტი ხმა;

37.6.პრეზიდენტი სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტებს, აღმასრულებელი კომიტეტის წევრებიდან. პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტებს განუსაზღვრავს საკურატორო სფეროებს.

37.7.პრეზიდენტის არყოფნის ან სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას შეასრულებს უხუცესი ვიცე-პრეზიდენტი;

37.8.პრეზიდენტის ყველა სხვა დამატებითი უფლებამოსილებანი შესულია სფფ-ის შიდა საორგანიზაციო წესებში.

მუხლი 38. პრეზიდენტობის კანდიდატები

38.1.პრეზიდენტს ირჩევს ყრილობა ოთხი წლის ვადით. მისი უფლებამოსილება იწყება ყრილობაზე კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ. მოქმედმა პრეზიდენტმა შეიძლება ამ თანამდებობაზე ხელახლა იყაროს კენჭი;

38.2.პირველ ტურში სფფ-ის პრეზიდენტის ასარჩევად საჭიროა ხმის უფლების მქონე პირთა აბსოლუტური უმრავლესობა (50% + 1). მეორე და ნებისმიერ სხვა აუცილებელ კენჭისყრაზე საკმარისია ხმათა უბრალო უმრავლესობა. თუ ორზე მეტი კანდიდატი იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ყოველი ტურის შემდეგ კანდიდატი, რომელსაც ექნება ხმების ყველაზე ნაკლები რაოდენობა, ამოღებული იქნება შემდეგი ტურიდან მანამ, სანამ არ დარჩება ორი კანდიდატი. თუ ორ ან მეტ კანდიდატს ხმათა თანაბარი რაოდენობა ექნებათ, უნდა ჩატარდეს შემდეგი ტური, რათა გაირკვეს, თუ რომელი კანდიდატი გამოეთიშება;

38.3.სფფ-ის პრეზიდენტობაზე კანდიდატურების წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ სფფ-ის წევრებს. Pპრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა უნდა მოხდეს მინიმუმ სფფ-ის 3 წევრის მიერ. ყრილობის თარიღამდე სულ ცოტა 15 დღით ადრე სფფ-ის წევრებმა გენერალურ სამდივნოში წერილობით უნდა წარადგინონ სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი;

38.4.სფფ-ის ერთი წევრი უფლებამოსილია წარადგინოს პრეზიდენტობის მხოლოდ ერთი კანდიდატი.

38.5.სფფ-ის გენერალურმა სამდივნომ წევრებს/ასოცირებულ წევრებს უნდა გაუგზავნოს პრეზიდენტობის კანდიდატთა სია, ყრილობის თარიღამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე;

38.6.სფფ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატი შეიძლება იყოს სფფ-ის წევრის მიერ წარდგენილი 24-დან 70 წლამდე პიროვნება, რომელსაც უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება. ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, აქტიურად ჩართული საფეხბურთო საქმიანობაში და არ უნდა იყოს ნასამართლევი. მან წერილობითი ფორმით უნდა დაადასტუროს, რომ აღიარებს სფფ-ის, ფიფას და უეფას წესდებებს, დებულებებს და გადაწყვეტილებებს და წარმოადგინოს სამოქმედო პროგრამა.

38.7.თუ სფფ-ის პრეზიდენტს 6 თვის განმავლობაში არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, სფფ-ის აღმასკომი ვალდებულია ჩაატაროს ყრილობა, რომელზეც აირჩევა ახალი პრეზიდენტი. ყრილობამდე დარჩენილ პერიოდში პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს უხუცესი ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 39. წარმომადგენლობა და ხელმოწერა

ხელმოწერა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ხორციელდება სფფ-ის პრეზიდენტის მიერ. აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია დაადგინოს შიდა საორგანიზაციო დებულებები, რომელიც ეხება ოფიციალურ პირთა ერთობლივ ხელმოწერას, კერძოდ პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში.

დ. საგანგებო კომიტეტი

მუხლი 40. საგანგებო კომიტეტი

40.1.საგანგებო კომიტეტი აგვარებს ყველა იმ საკითხს, რაც საჭიროებს აღმასრულებელი კომიტეტის ორ სხდომას შორის სასწრაფო გადაწყვეტას. საგანგებო კომიტეტი შედგება სფფ-ის პრეზიდენტისა, რომელიც ამავდროულად არის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე და 4 წევრისაგან, რომელიც შეირჩევა სფფ-ის აღმასკომის წევრებისაგან და დაინიშნება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 4 წლის ვადით;

40.2.საგანგებო კომიტეტის სხდომებს იწვევს სფფ-ის პრეზიდენტი. თუ სხდომა ვერ მოიწვევა განსაზღვრულ ვადებში, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს კომუნიკაციის სხვა საშუალებებით. ასეთ გადაწყვეტილებებს სასწრაფოდ უნდა მიეცეს სამართლებრივი ფორმა. საგანგებო კომიტეტის სხდომის ოქმი და მიღებული გადაწყვეტილებები არქივირდება და ეგზავნება აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამდე.

40.3.საგანგებო კომიტეტის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება რატიფიცირებული უნდა იყოს აღმასრულებელი კომიტეტის მომდევნო სხდომაზე;

40.4.თუ პრეზიდენტი ვერ ესწრება სხდომას გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ უხუცესი ვიცე-პრეზიდენტი შეითავსებს მის მოვალეობებს.

ე. მუდმივმოქმედი კომიტეტები

მუხლი 41. მუდმივმოქმედი კომიტეტები

41.1.სფფ-ის მუდმივმოქმედი კომიტეტებია:

ა)საფინანსო კომიტეტი;

ბ)საკლუბო ტურნირების და ეროვნული ნაკრებების საშეჯიბრო კომიტეტი;

გ)სამსაჯო კომიტეტი;

დ)იურიდიული და ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტი;

ე)ფუტსალის, პლაჟის, ქალთა და მოყვარულთა ფეხბურთის კომიტეტი;

ვ)რეგიონულ ფედერაციებთან ურთიერთობის კომიტეტი;

ზ)მედიასთან ურთიერთობის კომიტეტი;

თ)შიდა სააუდიტო კომიტეტი.

41.2.მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი შიდა სააუდიტო კომიტეტის გარდა, რომელიც შესაძლოა არ ეკუთვნოდეს აღმასრულებელ კომიტეტს. მუდმივმოქმედი კომიტეტის თითოეული წევრი ინიშნება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სფფ-ის წევრებისა ან სფფ-ის პრეზიდენტის შეთავაზების საფუძველზე. მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და

წევრები ინიშნებიან ოთხწლიანი ვადით. წევრების ხელახალი დანიშვნა, ისევე, როგორც მათი დათხოვნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს;

41.3.თითოეული თავმჯდომარე წარმოადგენს თავის კომიტეტს და ასრულებს სამუშაოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შემუშავებულ შესაბამის ორგანიზაციულ დებულებებთან შეთანხმებით;

41.4.მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალურ სამდივნოსთან შეთანხმებით, ადგენს სხდომის თარიღს და უზრუნველყოფს ყველა დავალების შესრულებას და აღმასრულებელი კომიტეტისათვის გადაგზავნას;

41.5.თითოეულ მუდმივმოქმედ კომიტეტს შეუძლია აღმასრულებელ კომიტეტს მიმართოს თავის წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

41.6.თითოეული მუდმივმოქმედი კომიტეტი შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და არაუმეტეს 3 წევრისაგან.

მუხლი 42. საფინანსო კომიტეტი

საფინანსო კომიტეტი აკონტროლებს ფინანსურ საქმიანობას და აძლევს რჩევებს სფფ-ს აღმასრულებელ კომიტეტს ფინანსურ საკითხებში და აქტივების განკარგვაზე. მან უნდა გააკეთოს სფფ-ის გენერალური მდივნის მომზადებული სფფ-ის ბიუჯეტის და ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და წარუდგინოს იგი აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად შემდგომი დასამტკიცებისათვის.

მუხლი 43. საკლუბო ტურნირების და ეროვნული ნაკრებების საშეჯიბრო კომიტეტი

საკლუბო ტურნირების და ეროვნული ნაკრებების საშეჯიბრო კომიტეტი განიხილავს:

-სფფ-ის საკლუბო ტურნირების ორგანიზებას ამ წესდების მოთხოვნების და სფფ-ის საკლუბო ტურნირების მოქმედი დებულებების შესაბამისად.

-საქართველოს ეროვნული ნაკრებების შეჯიბრებების ორგანიზებას ფიფას და უეფას დებულებების შესაბამისად.

მუხლი 44. სამსაჯო კომიტეტი

სამსაჯო კომიტეტი ნერგავს და ახორციელებს თამაშის წესებს. იგი ნიშნავს მსაჯებს სფფ-ის მიერ ორგანიზებული მატჩებისათვის, ახორციელებს მსაჯების საკითხების ორგანიზებას სფფ-ის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. მონიტორინგს უწევს მსაჯთა განათლებას და წვრთნას.

მუხლი 45. იურიდიული და ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტი

იურიდიული და ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტი:

-განიხილავს ძირითად იურიდიულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ფეხბურთთან, სფფ-ის და მისი წევრების წესდებებისა და დებულებების დახვეწასთან;

-სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს წინადადებებს (რეკომენდაციებს) სფფ-ის წესდებაში, კომიტეტების დებულებებში, რეგლამენტებში და სხვადსხვა იურიდიულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

-მონიტორინგს უწევს სფფ-ის წესდების, დებულებების და გადაწყვეტილებების შესრულებას სფფ-ის წევრების მიერ;

-სამართლებრივ დახმარებას უწევს სფფ-ის სუბიექტებს, საფეხბურთო კლუბებს, ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და მსაჯებს.

-აყალიბებს და მონიტორინგს უწევს ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესებს, ფიფას შესაბამისი დებულებების თანახმად. განსაზღვრავს ფეხბურთელების სტატუსს სფფ-ის სხვადასხვა ტურნირებზე.

მუხლი 46.ფუტსალის, პლაჟის, ქალთა და მოყვარულთა ფეხბურთის კომიტეტი

ფუტსალის, პლაჟის ქალთა და მოყვარულთა ფეხბურთის კომიტეტი განიხილავს:

-ფუტსალის, პლაჟის, ქალთა და მოყვარულთა ტურნირების ორგანიზებას;

-ფუტსალის, პლაჟის, ქალთა და მოყვარულთა ფეხბურთთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარებას.

მუხლი 47.რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტი

რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტი განიხილავს:

-სფფ-ის ურთიერთობის განვითარებას მის წევრ რეგიონულ ფედერაციებთან;

-რეგიონებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას;

-რეგიონებში პრობლემური საკითხების მოგვარებას.

მუხლი 48.მედიასთან ურთიერთობის კომიტეტი

მედია კომიტეტი უზრუნველყოფს მედიისთვის კარგი პირობების შექმნას და მედია ორგანიზაციებთან ურთიერთობების შენარჩუნებას.

მუხლი 49. შიდა სააუდიტო კომიტეტი

შიდა სააუდიტო კომიტეტი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშის სრულყოფილებას და სანდოობას და განიხილავს დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიშს აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 50. სპეციალური კომიტეტები

სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შექმნას სპეციალური კომიტეტი განსაკუთრებული დავალებების შეზღუდულ დროში შესასრულებლად. აღმასრულებელი კომიტეტი ნიშნავს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და

წევრებს. უფლება მოვალეობები განისაზღვრება განსაკუთრებულ დებულებებში, რომელსაც ადგენს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 51. გენერალური სამდივნო

სფფ-ის გენერალური სამდივნო ახორციელებს სფფ-ის ყველა ადმინისტრაციულ სამუშაოს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. გენერალური სამდივნოს წევრები ექვემდებარებიან სფფ-ის შიდა ორგანიზაციულ დებულებებს და პირნათლად უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 52. გენერალური მდივანი

52.1.გენერალური მდივანი არის გენერალური სამდივნოს მთავარი აღმასრულებელი პირი;

52.2.სფფ-ის გენერალური მდივანი ინიშნება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სფფ-ის პრეზიდენტის წარდგინებით. იგი საქმიანობას წარმართავს ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე;

52.3. გენერალური მდივანი ვალდებულია:

ა)შეასრულოს ყრილობის და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პრეზიდენტის დირექტივების შესაბამისად;

ბ)დაესწროს ყრილობის, აღმასრულებელი კომიტეტის და სხვა ორგანოების სხდომებს;

გ)ორგანიზება გაუწიოს ყრილობის, აღმასრულებელი კომიტეტის და სხვა ორგანოების სხდომებს;

დ)შეადგინოს ყრილობის, აღმასრულებელი, საგანგებო, მუდმივმოქმედი და სპეციალური კომიტეტების ოქმები;

ე)ამზადებს სფფ-ის ბიუჯეტს და ფინანსურ ანგარიშს;

ვ)ადგენს სფფ-ის ყოველწლიურ გაერთიანებულ ანგარიშს მის შვილობილ კომპანიებთან;

ზ)აწარმოოს სფფ-ის მიმოწერა, მასზე კონტროლი;

თ)ჩამოაყალიბოს ურთიერთობები ფიფასთან, უეფასთან, სფფ-ის წევრებთან/ასოცირებულ წევრებთან და კომიტეტებთან;

ი)ორგანიზება გაუწიოს სფფ-ის გენერალურ სამდივნოს საქმიანობას;

კ)დასამტკიცებლად წარუდგინოს ადმინისტრაციული აპარატი სფფ-ის პრეზიდენტს.

52.4.სფფ-ის გენერალური მდივანი ესწრება ყრილობის, აღმასრულებელი კომიტეტის და მუდმივმოქმედი კომიტეტების სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით. სხდომებზე დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში, იგი დანიშნავს თავის შემცვლელ პირს.

ვ. იურიდიული ორგანოები

მუხლი 53.იურიდიული ორგანოები

53.1.სფფ-ის იურიდიული ორგანოებია:

ა)სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი;

ბ)სააპელაციო კომიტეტი;

გ)კლუბების ლიცენზირების კომიტეტი;

დ)კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო.

53.2.სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების ვალდებულებები და ფუნქციები განსაზღვრულია სფფ-ის სადისციპლინო კოდექსით და სფფ-ის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულებით, რომელიც არის ფიფას სადისციპლინო კოდექსის და ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულების შესაბამისი, ხოლო კლუბების ლიცენზირების კომიტეტის და კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს ვალდებულებები და ფუნქციები განსაზღვრულია სფფ-ის კლუბების ლიცენზირების მოქმედ დებულებებში, რომელიც შეესაბამება უეფას საკლუბო ლიცენზირებისა და ფინანსური ფეარ-პლეის დებულებების მოთხოვნებს.

53.3.სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების წევრები ინიშნებიან სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, 2 წლის ვადით, ისინი იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ სხვა ორგანოების წევრები.

53.4.კლუბების ლიცენზირების კომიტეტის და კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს წევრები ინიშნებიან სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2 წლის ვადით. ისინი იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ სფფ-ის სხვა ორგანოების წევრები. ამას გარდა, კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს წევრები არ შეიძლება ეკუთვნოდნენ სფფ-ის ან სფფ-ის წევრების ადმინისტრაციულ ორგანოებს.

53.5.იურიდიული ორგანოს წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა პროცესში და გადაწყვეტილების მიღებაში, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან ასეთი კონფლიქტის რისკი;

მუხლი 54.სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი

54.1.სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და სამი წევრისაგან. თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს უნდა გააჩნდეთ იურიდიული კვალიფიკაცია;

54.2.ამ ორგანოს ფუნქცია უნდა იმართებოდეს სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის და სფფ-ს ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულების მიხედვით. კომიტეტი გადაწყვეტილებებს გამოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხდომას ესწრება სულ მცირე სამი წევრი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავმჯდომარეს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად;

54.3.სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს შეუძლია გამოიყენოს ამ წესდებაში და სფფ-ის სადისციპლინო კოდექსში და სფფ-ის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულებაში აღწერილი სანქციები წევრების, ოფიციალურ პირების, ფეხბურთელების, კლუბების, მატჩებისა და ფეხბურთელების აგენტების მიმართ;

54.4.სფფ-ის იურიდიული ორგანოების მიერ მიღებული დისციპლინარული ზომები არ ახდენს გავლენას სფფ-ის ყრილობისა და აღმასრულებელი კომიტეტის უფლებაზე, შეუჩეროს წევრობა/ასოცირებული წევრობა ან გარიცხოს წევრი/ ასოცირებული წევრი წინამდებარე წესდების შესაბამისად.

მუხლი 55. სააპელაციო კომიტეტი

55.1.სააპელაციო კომიტეტი შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და სამი წევრისაგან. თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს უნდა გააჩნდეთ იურიდიული კვალიფიკაცია;

55.2.ამ ორგანოს ფუნქციას განსაზღვრავს სფფ-ის სადისციპლინო კოდექსი და სფფ-ის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულება. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხდომას ესწრება სულ მცირე სამი წევრი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავმჯდომარეს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად;

55.3.სააპელაციო კომიტეტი განიხილავს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილებებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

მუხლი 56. კლუბების ლიცენზირების კომიტეტი

კლუბების ლიცენზირების კომიტეტის შემადგენლობა, კვალიფიკაცია და ფუნქციები განსაზღვრულია სფფ-ის კლუბების ლიცენზირების მოქმედ დებულებებში, რომელიც შეესაბამება უეფას მოთხოვნებს და დამტკიცებულია სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. კლუბების ლიცენზირების კომიტეტში აუცილებელია იყოს 1 კვალიფიციური ფინანსისტი და 1 კვალიფიციური იურისტი. დამატებითი მოთხოვნები კვალიფიკაციასთან დაკავშირებით შეიძლება განისაზღვროს სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულებებში.

მუხლი 57. კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო

კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს შემადგენლობა, კვალიფიკაცია და ფუნქციები განსაზღვრულია სფფ-ის კლუბების ლიცენზირების მოქმედ დებულებებში, რომელიც შეესაბამება უეფას მოთხოვნებს და დამტკიცებულია სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოში აუცილებელია იყოს 1 კვალიფიციური ფინანსისტი და 1 კვალიფიციური იურისტი. დამატებითი მოთხოვნები კვალიფიკაციასთან დაკავშირებით შეიძლება განისაზღვროს სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულებებში.

მუხლი 58.დისციპლინარული სანქციები

ძირითადი დისციპლინარული სანქციებია:

58.1.ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:

ა)გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა;

დ)წოდების ჩამორთმევა;

58.2.ფიზიკური პირებისათვის:

ა)გაფრთხილება;

ბ)გაძევება;

გ)მატჩის გამოტოვება;

დ)გასახდელებში და/ან სათადარიგო სკამზე ყოფნის აკრძალვა;

ე)სტადიონზე შესვლის აკრძალვა;

ვ)ნებისმიერი საფეხბურთო საქმიანობის აკრძალვა;

58.3.იურიდიული პირებისათვის:

ა)ტრანსფერის აკრძალვა;

ბ)მატჩის ჩატარება მაყურებლის გარეშე;

გ)მატჩის ჩატარება ნეიტრალურ ტერიტორიაზე;

დ)გარკვეულ სტადიონებზე მატჩის ჩატარების აკრძალვა;

ე)მატჩის შედეგის გაუქმება;

ვ)გაგდება;

ზ)კონფისკაცია;

თ)ქულების ჩამოჭრა;

ი)დაბალ ლიგაში გადაყვანა.

მუხლი 59. საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალი

59.1.სფფ-ის მიერ აღიარებული საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალი უფლებამოსილია განიხილოს საბოლოო ინსტანციაში (ანუ როცა ამოწურულია ყველა შიდა პროცედურა და საშუალება) დავები სფფ-ისა და მის წევრებს/ასოცირებულ წევრებს, ფეხბურთელებს, კლუბებს, ოფიციალურ პირებს შორის, ასევე სფფ-ის წესდებებთან, დებულებებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა იმ დავებისა, რომელიც დაკავშირებულია თამაშის წესების დარღვევასთან, ფეხბურთელების 4 მატჩამდე ან ერთ თვემდე დისკვალიფიკაციასთან და ტექნიკურ საკითხებთან;

59.2.სფფ-ს, მის წევრებს/ასოცირებული წევრებს ფეხბურთელებს, ოფიციალურ პირებს, ფეხბურთელებისა და მატჩების აგენტებს ეკრძალებათ დავა განსახილველად გადასცენ საერთო/სასამართლოს, თუ ეს ცალსახად არ არის განსაზღვრული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. საფეხბურთო დავების განმხილველი ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი აღსრულება მოდავე მხარეებისათვის არის სავალდებულო.

59.3.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს ტრიბუნალის დებულებას და შემადგენლობას.

მუხლი 60.იურისდიქცია

სფფ-ის იურისდიქცია ვრცელდება ეროვნულ დავებზე, ე.ი. დავებზე, რომელთა მხარეებიც ეკუთვნიან სფფ-ს. ფიფას და უეფას იურისდიქცია ვრცელდება შესაბამისად საერთაშორისო, ევროპის მაშტაბის დავებზე, ე.ი. დავებზე იმ მხარეებს შორის, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა ასოციაციებს და/ან კონფედერაციებს.

მუხლი 61. სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო

61.1.ფიფას და უეფას წესდებებით განსაზღვრული შესაბამისი პირობების თანახმად, ფიფასა და უეფას საბოლოო და სავალდებულო ნებისმიერი გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი განიხილება შვეიცარიის ქ. ლოზანაში არსებულ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS). CAS არ განიხილავს საჩივრებს თამაშის წესების დარღვევებზე, ოთხ მატჩამდე და სამ თვემდე დისკვალიფიკაციაზე, ასევე გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია ასოციაციის ან კონფედერაციის დამოუკიდებელ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ;

61.2.სფფ უზრუნველყოფს მისი წევრების/ასოცირებული წევრების, ფეხბურთელების, ოფიციალური პირების და მატჩისა და მოთამაშეთა აგენტების მიერ ფიფას ორგანოს ან CAS-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

მუხლი 62. დოპინგი

62.1.სფფ მოწოდებული იქნება დოპინგის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა დაიცვას სპორტული ეთიკის ნორმები და ფეხბურთელთა ფიზიკური ჯანმრთელობა და მენტალური მთლიანობა და უზრუნველყოს სპორტულ შეჯიბრებებში ყველა მონაწილის თანაბარი შანსი

62.2.დოპინგთან დაკავშირებული საკითხების დროს სფფ მოქმედებს ფიფას ანტიდოპინგური რეგულაციების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ იქნება წინააღმდეგობა ეროვნულ რეგულაციასა და ფიფას ანტიდოპინგურ რეგულაციას შორის, უპირატესობა მიენიჭება ფიფას ანტიდოპინგურ რეგულაციაში შესულ დებულებებს.

62.3.სფფ დაუყოვნებლივ წარუდგენს ფიფას და მსოფლიო ანტი-დოპინგის სააგენტოს (მადს) ასოციაციის დონეზე დოპინგთან დაკავშირებული ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილების ასლს, ფიფას ოფიციალურ ენაზე;

62.4.სფფ აღიარებს, რომ ფიფას და მსოფლიოს ანტი-დოპინგის სააგენტოს (მადს) აქვთ უფლება მიმართონ CAS-ს ანტიდოპინგთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ასოციაციის დონეზე.

V.ფინანსები

მუხლი 63.ფინანსები

63.1.სფფ-ის ფინანსური პერიოდი შეადგენს ერთ წელს. იგი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს;

63.2.სფფ-ის შემოსავლები და ხარჯები უნდა იმართებოდეს ისე, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ფინანსურ პერიოდთან. სფფ-ის ძირითადი საქმიანობები მომავალში გარანტირებული უნდა იყოს რეზერვების შექმნით;

63.3.სფფ-ის გენერალური მდივანი პასუხიმგებელია სფფ-ის ყოველწლიური გაერთიანებული ანგარიშის შედგენაზე მის შვილობილ კომპანიებთან 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მუხლი 64. შემოსავლები

სფფ-ის შემოსავლების წყაროებია:

ა)წევრთა-ასოცირებულ წევრთა ყოველწლიური საწევროები;

ბ)ნებისმიერი სახის უფლებათა გამოყენებისგან მიღებული შემოსავლები;

გ)სფფ-ის უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაწესებული ჯარიმები;

დ)ფიფას და უეფას გრანტები;

ე)კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ვ)სფფ-ის მიზნების განხორციელებისათვის საჭირო სხვა შენატანები, მათ შორის სახელმწიფოდან მიღებული სუბსიდიები.

მუხლი 65.ხარჯები

სფფ-ის ხარჯებია:

ა)საბიუჯეტო გადასახადები;

ბ)ყრილობის მიერ დამკიცებული ხარჯები, აგრეთვე ხარჯები, რომელთა გაწევის უფლება აქვს აღმასრულებელ კომიტეტს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;

გ)ყველა სხვა ხარჯი, რაც აუცილებელია სფფ-ის მიზნების და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 66.დამოუკიდებელი აუდიტორები

ყრილობის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი მოახდენს საფინანსო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ანგარიშების აუდიტს, საბუღალტრო წესების შესაბამისად და ყრილობას წარუდგენს ანგარიშს. აუდიტორები ინიშნებიან ყოველწლიურად ყრილობის მიერ. აუდიტორის უფლებამოსილებათა ვადა შეიძლება განახლდეს.

მუხლი 67. საწევრო შენატანები

67.1.საწევრო შენატანის გადახდა სავალდებულოა ყოველი წლის 1 იანვრისთვის როგორც წევრებისათვის ისე ასოცირებული წევრებისათვის. ყოველწლიური საწევრო შენატანი ახალი წევრებისთვის/ასოცირებული წევრებისათვის მიმდინარე წელს გადახდილი უნდა იყოს იმ ყრილობის დამთავრებიდან 30 დღის განმავლობაში, რომელზეც ისინი მიიღეს წევრად/ასოცირებულ წევრად.

67.2.ყრილობა, აღმასრულებელი კომიტეტის რეკომენდაციით, განსაზღვრავს ყოველწლიური შენატანის ოდენობას.

მუხლი 68. კომპენსაცია

სფფ-ს შეუძლია მისი წევრებისადმი/ასოცირებული წევრებისადმი თავისი ფინანსური მოთხოვნების უფლებები აინაზღაუროს მათი ქონებიდან.

მუხლი 69. გადასახადები

სფფ-მ შეიძლება მოითხოვოს მისი წევრებისაგან/ასოცირებული წევრებისგან გადასახადები მატჩებისაგან მიღებული შემოსავლებიდან.

VI.ტურნირები და უფლებები ტურნირებში და სხვა აქტივობებში

მუხლი 70.ტურნირები

70.1.სფფ უფლებამოსილია ორგანიზება და კოორდინაცია გაუწიოს მის ტერიტორიაზე გამართულ შემდეგ ოფიციალურ ტურნირებს:

ა)საქართველოს ჩემპიონატს ყველა ლიგაში;

ბ)საქართველოს თასს;

გ)ახალგაზრდულ შეჯიბრებებს;

დ)ფუტსალის, პლაჟის და ქალთა ფეხბურთის შეჯიბრებებს.

70.2.სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიძლება სფფ-ის ქვემდგომ ლიგებს გადასცეს უფლებამოსილება ტურნირების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ლიგების მიერ მოწყობილი ტურნირები ხელს არ უშლის სფფ-ის მიერ ორგანიზებულ სხვა ტურნირებს. სფფ-ის მიერ ორგანიზებულ ტურნირებს ენიჭება უპირატესობა;

70.3.ამის გარდა სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიძლება გამოსცეს სპეციალური დებულებები.

70.4.სფფ-ის წევრი საფეხბურთო კავშირები, ასოციაციები ვალდებული არიან სფფ-სთან შეათანხმონ საქართველოს რეგიონული ლიგის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ჩემპიონატების (თასის გათამაშებების), სხვადასხვა სრულმაშტაბიანი ტურნირების ჩატარების დებულებები.

70.5.სფფ-ის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე კლუბებს, შეუძლიათ ითამაშონ საშინაო მატჩები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. სფფ-ს შეუძლია დაუშვას გამონაკლისი ამ წესთან დაკავშირებით მხოლოდ ფიფას და/ან უეფას წინასწარი თანხმობით. უეფას შეჯიბრებებში მონაწილე კლუბებმა უნდა ითამაშონ საშინაო მატჩები საქართველოს ტერიტორიაზე, თუკი სხვაგვარად არ გადაწყვეტს უეფა.

მუხლი 71.კლუბების ლიცენზირება

71.1.კლუბების მონაწილეობა უეფას საკლუბო შეჯიბრებებში, ასევე საქართველოს ჩემპიონატის ლიცენზირებად ლიგებში მოხდება სფფ-ის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიების საფუძველზე. საქართველოს ჩემპიონატის ლიცენზირებად ლიგებს ადგენს სფფ-ის აღმასკომი.

71.2.კლუბების ლიცენზირების ორგანოები (კლუბების ლიცენზირების კომიტეტი და კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო) და კლუბების ლიცენზირების პროცესი, ასევე, კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ კლუბებმა როგორც ეროვნულ ჩემპიონატის ლიცენზირებად ლიგებში ისე უეფას საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, აღწერილია `სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულებებში~ და მის დანართებში. ისინი დამტკიცებულია სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და შეესაბამება უეფას კლუბების ლიცენზირების და ფინანსური ფეარ-პლეის დებულებების მინიმალურ მოთხოვნებთან;

71.3.ეროვნულ ჩემპიონატის ლიცენზირებად ლიგებში შესაბამისი ლიცენზიის არმქონე კლუბის მონაწილეობის შესახებ გამონაკლისის დაშვების უფლება გააჩნია სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც ამგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა იმოქმედოს სფფ-ის წესდებისა და დებულებების, ფეხბურთის განვითარებისა და სამართლიანობის პოლიტიკის შესაბამისად. ამასთან სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია მიმართოს სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტს, დაშვებულ გამონაკლისთან დაკავშირებით ფინანსური სანქციის გამოყენების მოთხოვნით;

მუხლი 72.უფლებები

72.1.სფფ არის პირველადი მფლობელები ყველა უფლების, შესაბამისი იურისდიქციის ფარგლებში დაკავშირებულ შეჯიბრებებსა და სხვა ღონისძიებებთან, შინაარსის, დროისა და ადგილის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ეს უფლებები სხვასთან ერთად მოიცავს, ყველანაირი სახის ფინანსურ უფლებებს, აუდიო და რადიო ჩანაწერებს, რეპროდუქციის და მაუწყებლობის უფლებებს, გამოყენებული ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების უფლებებს, მარკეტინგისა და სარეკლამო უფლებებს, არამატერიალურ უფლებებს, როგორიცაა ემბლემები და უფლებები, რომლებიც წარმოიქმნება საავტორო უფლების შესახებ კანონის ფარგლებში;

72.2.სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ და რა მასშტაბით გამოიყენოს ეს უფლებები და შეიმუშაოს სპეციალური წესები ამისათვის. აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტს ეს უფლებები ექსკლუზიურად იქნება

გამოყენებული თუ მესამე მხარესთან ერთობლიობაში ან მთლიანად მესამე მხარის საშუალებით.

მუხლი 73.უფლებამოსილება

სფფ-ს შეუძლია მიანიჭოს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს საფეხბურთო მატჩების და ღონისძიებების გამოსახულების, ხმისა და საინფორმაციო მონაცემების გავრცელების უფლებამოსილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შინაარსის, დროის, ადგილის და ტექნიკური შეზღუდვის გარეშე.

VII.საერთაშორისო მატჩები და ტურნირები

მუხლი 74.საერთაშორისო მატჩები და ტურნირები

საერთაშორისო მატჩების და შეჯიბრებების ორგანიზება ასოციაციის ნაკრებ გუნდებს და ლიგების და/ან საკლუბო გუნდებს შორის წარმოადგენს მხოლოდ ფიფასა და უეფას უფლებამოსილებას.

მუხლი 75.კონტაქტები

სფფ არ ითამაშებს მატჩებს და არ დაამყარებს სპორტულ კონტაქტებს ასოციაციებთან, რომლებიც არ არიან ფიფას წევრები და არ დაამყარებს კონტაქტებს კონფედერაციის დროებით წევრებთან ფიფას დასტურის გარეშე. ასევე არ ჩაატარებს მატჩებს იმ გუნდების წინააღმდეგ, რომელთა ფეხბურთელები არ ეკუთვნიან ფიფას წევრ ასოციაციაში აფილირებულ კლუბს ან ლიგას.

მუხლი 76.დადასტურება

კლუბები, ლიგები ან კლუბების ნებისმიერი სხვა გაერთიანებები, რომლებიც არიან სფფ-ის წევრები არ შეიძლება ეკუთვნოდნენ სხვა ქვეყნის ეროვნულ ასოციაციებს და ვერ მიიღებენ მონაწილეობას ტურნირებში სხვა ეროვნული ასოციაციის ტერიტორიაზე, სფფ-ის, სხვა ეროვნული ასოციაციის და ფიფას უფლებამოსილების გარეშე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

VIII.საბოლოო დებულებები

მუხლი 77.გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ფორს მაჟორი

სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საკითხზე, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებაში და ფორს მაჟორის შემთხვევებში.

მუხლი 78.ლიკვიდაცია

78.1.სფფ-ის გაუქმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება საჭიროებს სფფ-ის ყველა წევრის 2/3, რომელიც მიღებული უნდა იქნას სპეციალურად ამ მიზნით მოწვეულ ყრილობაზე.

78.2.სფფ-ის გაუქმების შემთხვევაში, მისი აქტივები გადაეცემა სახელმწიფოს. საბოლოო ყრილობამ შეიძლება მიიღოს აქტივების განკარგვაზე სხვა გადაწყვეტილება 2/3-ის საფუძველზე.

მუხლი 79. მიღება და ძალაში შესვლის თარიღი

წინამდებარე წესდება ახალი რედაქციით მიღებულ იქნა სფფ-ს XXXIII ყრილობაზე 2023 წლის 04 თებერვალს და ძალაში შედის მიღებისთანავე.

ლევან კობიაშვილი

პრეზიდენტი